

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ ბესიკ ესებუას



პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების  
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. მარეხი ბაგათელია ტელ. 599 27 39 38
2. აზა სიჭინავა ტელ. 577 300 283
3. თინათინ კვიციანი ტელ. 577 55 66 25

### პ ე ტ ი ც ი ა

დაბა ჩხოროწყუში დღემდე პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (სკოლა, ბაღი, კულტურული ცენტრი, ისტორიული შენობის, საავადმყოფო, სახანძრო, პოლიცია და ა.შ.) მდებარეობის აღმნიშვნელი აბრებისა და ნიშნულების, ასევე ქუჩების მიმართულების და ადგილმდებარეობის მიმართებელი აბრების და ნიშნულების არ არსებობა.

როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ჩამოსულ სტუმრებს უჭირთ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების პოვნა, რაც მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნის.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ დაბა ჩხოროწყუში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (სკოლა, ბაღი, კულტურული ცენტრი, საავადმყოფო, სახანძრო, პოლიცია და ა.შ.) მდებარეობის აღმნიშვნელი აბრებისა და ნიშნულების, ასევე ქუჩების მიმართულების და ადგილმდებარეობის მიმართებელი აბრების და ნიშნულების განთავსების საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. მარეხი ბაგათელია *მ. ბაგათელია*
2. აზა სიჭინავა *ა. სიჭინავა*
3. თინათინ კვიციანი *თ. კვიციანი*

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 05 ოქტომბერი 2017 წელი